ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს350304/9c

ქ. თბილისი 19 09 2012 წ.

Contract on State Procurement [illegible]

Tbilisi 19 09 2012

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში `შემსყიდველი~, მინისტრის მოადგილის დავით ლომიძის სახით, და მეორე მხრივ **„Emory University"** შემდგომში `მიმწოდებელი~, ასოცირებული დირექტორის ნიკი სიმონსის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განახორციელა მრავალწლიანი ელექტრონული ტენდერი **(SPA 120019382)** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამის ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს ეროვნული სამედიცინო ტრენინგ–ცენტრისათვის ადამიანური რესურსის მომზადების (SPV 80560000) მიზნით მომსახურების შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შემსყიდველს გაუწიოს ზემოაღნიშნული მომსახურება 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარად (შემდგომში `ხელშეკრულების ღირებულება~).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 გასაწევი მომსახურების აღწერილობა და ფასები განისაზღვრება ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შემდეგი თანდართული დოკუმენტების შესაბამისად:

- საქართველოს ეროვნული სამედიცინო ტრენინგ–ცენტრისათვის ადამიანური რესურსის მომზადება – ტექნიკური წინადადება – დანართი N1;
- სამედიცინო სიმულაციის ცენტრის განვითარების გრაფიკი – დანართი N 2;
- მედიცინის მუშაკების გადამზადების პროგრამების განრიგი – დანართი N3;
- საქართველოს ეროვნული სამედიცინო ტრენინგ–ცენტრისათვის ადამიანური რესურსის მომზადება – ბიუჯეტი – დანართი N4;

3.2. 3.1. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. ადგილი და ვადები:

4.1.1. მომსახურების გაწევის ადგილი - ქ. თბილისი აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ. სამედიცინო ტრენინგ–ცენტრის შენობა.

4.1.2. მომსახურების გაწევის ვადები – განისაზღვრება ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ თანდართულ დოკუმენტში – მედიცინის მუშაკების გადამზადების პროგრამები განრიგით (დანართი N3) – მითითებული პირობების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შენობა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ყოველკვარტალურად მომსახურების გაწევის შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 15.2 პუნქტით განსაზღვრული, ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორების მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარის შესაბამისი კურსით დოლარში, ანგარიშსწორების დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი კურსით.

6.2. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ყოველკვარტალურად, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე, წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

1. Contracting Parties

1.1. Ministry of Healt, Labour and Social Affars of Georgia (hereinafter referred to as Purchaser" represented by its Deputy of Minister, Devid Lomidze, on the one hand, and **"Emory University"** (hereinafter referred to as "Provider") represented by its associate director, Nikki Simmons, on the other hand.

2. Subject and Value of the Contract

2.1. The Purchaser has carried out long-term electronic tender **(SPA 120019382)** to purchase a service for Medical Training Center related to training of personnel (SPV 80560000) by Ministry of Labour, Health and Social Affairs within the frame of post-graduate education assignment program of Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia and the Provider undertakes the obligation to render above-mentioned service to the Purchaser in the amount of 1 000 000 (one million) Lari (hereinafter referred to as "Contract Value").

3. Characteristic of Purchased Object

3.1 Description of the service to be rendered and its prices shall be defined in accordance with the documents submitted by the Provider in electronic tender:

- National Medical Training Center of Georgia-training of human resources for the center-technical proposal- Appendix #1,
- Schedule of development of Medical Simulation Center- Appendix #2;
- Schedule of retraining programs of medical personnel- Appendix #3;
- Training of human resources for National Medical Training Center of Georgia –budget- Appendix #4;

3.2. The documents defined under paragraph 3.1. shall be integral part of the contract.

4. Terms of Rendering of Service

4.1. Place and dates:

4.1.1. Place for rendering of service-Agmashenebeli Alley, 12th km, Tbilisi -Building of Medical Training Center.

4.1.2. Dates of rendering of service-it is defined under the document supplied by the Provider in electronic tender- schedule of retraining programs of medical personnel (Appendix #3)-in accordance of the terms indictaed that represent integral part of the contact. Building.

5. Rule of Acceptance of the Purchased Object

5.1. Acceptance of the service rendered shall be carried out quarterly after rendering of service based on inspection certificate prepared by coordinators liable for control of execution of the contract under paragraph 15.2. and relevant acceptance certificate shall be made into three copies on the ground of inspection certificate.

6. Payment

6.1. Type of payment-cashless in dollars, according to exchange currency defined on the date of payment.

6.2. Payment for the service rendered shall be made quarterly based on acceptance certificate signed by the parties and financial documents supplied by the Provider within 20 (twenty) days after its submission.

7.1. `მიმწოდებელი~ ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
7.1.2. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
7.1.3. მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს მომსახურების მაღალკვალიფიციურ და პროფესიულ დონეზე შესრულება.
7.1.4. ნებისმიერ დროს , წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები მომსახურების გაწევის ადგილზე.
7.1.5. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.
7.1.6. მომსახურების გაწევის პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას მომსახურებისას გამოვლენილი ხარვეზები, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
7.1.8. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.
7.1.9. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა გამოიყენოს მხოლოდ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის;
7.1.10. გაუფრთხილდეს, შემსყიდველის მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს.
7.2. „შემსყიდველი“ვალდებულია:
7.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
7.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების პერიოდში საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.
7.2.3. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს შემსრულებელს ხარვეზის გამოვლენის შესახებ.
7.2.4. უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
7.2.6. დროულად განიხილოს ,,მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლებები
8.1. ,,მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
8.1.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს მიმწოდებლის დაფინანსებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელს უფლება აქვს შეაჩეროს მომსახურების განხორციელება მისი კუთვნილი თანხის მიღებამდე.
8.2. ,,შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი.
8.2.2. აწარმოოს გაწეული მომსახურების ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი როგორც გეგმური, ასევე მიმდინარე.
8.2.3. განახორციელოს მომსახურების ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულებაში `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს

7. The Parties' Duties:
7.1. The Provider is obliged:
7.1.1. to render the service in accordance with terms determined by the contract.
7.1.2. to ensure timely and proper fulfillment of the assumed obligations.
7.1.3. to render high-skill and professional service in compliance with the applicable norms and rules.
7.1.4. to allow the Purchaser or its representative to visit the place of rendering service at any time during normal business hours upon prior notification.
7.1.5. to carry out financial account and accounting report within the frame of the applicable legislation.
7.1.6. to correct immediately defects revealed during provision of the service after receipt of notification without any additional costs incurred by the Purchaser .
7.1.8. In case of non- fulfillment of the assumed obligations by the Provider, the Purchaser shall be entitled to take steps for correction of defects raising in the provision of the service and require relevant reimbursement from the Provider or deduct it from the amount to be paid to the Provider under the contract.
7.1.9. to use the amount envisaged by the contract only for fulfillment of the obligations assumed under the contract.
7.1.10. to care of material values that are given to its temporary use by the Purchaser.
7.2. The Purchaser is obliged :
7.2.1. to fulfill properly and diligently the obligations undertaken by this contract.
7.2.2. to notify the Provider about rise of special circumstances within the period of provision of service.
7.2.3. To send written notification about revelation of defects to the Provider.
7.2.4. to ensure relevant and timely financing of the Provider in accordance with the terms of the contract.
7.2.6. to ensure timely discussion of the problems with fulfillment of the contract brought up by the Provider.

8. The Parties' Rights
8.1. The Provider is entitled:
8.1.1. to require timely and full financing based on the submitted reports within the frame of the contract.
8.1.2. In case, the Purchaser shall be unable to finance the Provider in accordance with the terms of the contract, the Provider shall has a right to discontinue provision of the service until appropriate payment is made.
8.2. The Purchaser is entitled:
8.2.1. to conduct control of quality and volume of the service rendered.
8.2.2. to perform financial and organizational monitoring on service rendered; both planned and current.
8.2.3. to carry out supervision of the service and inspect its conformity with the applicable legislation of Georgia in consideration with the current standards.

9. Force-majore
9.1. Non-fullfilment of the conditions of the contract by any party shall not cause the application of penalties if non-fulfillment of the obligations assumed by the contract or hindrance of execution of the contract is the result of force-majore circumstances.
9.2. Under this contract "force-majore" means insuperable circumstances beyond the control of the parties that are not related to mistakes and/or negligence from the side of the Purchaser or the Provider and have unforeseen nature. Such circumstance may be resulted in war, natural catastrophes, epidemics, quarantine and imposing embargo on supply of goods, substantial decrease of budget allocations and others.
9.3. In case of occurrence of force-majore circumstances, contracting

დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

party, to which fulfillment of the assumed obligations gets impossible, shall notify immediately the other party of occurrence of such circumstance and its causes. If the party sending notification does not receive the written answer from other party, it shall continue fulfillment of the obligations at its own discretion, ability and practicability and seek to find alternative ways for fulfillment of the obligations, which shall be free from the influence of force-majore circumstances.

10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10 Review of the Terms of the Contract
10.1. In case the necessity to change the terms of the contract raises due to unforeseen reasons, the initiating party shall be liable to send written notification on such information to other party in advance. At the same time, the Purchaser shall not be obliged to submit the provider any evidence related to those circusmtances based on which necessity to change the terms of the contract raised.
10.2. Any change in the terms of the contract is to be negotiated in good faith, signed in the form of additional agreement that shall be an integral part of the contract.
10.3. Any change resulted in increase of total value or impairment of the conditions for the Provider shall not be acceptable except the cases envisaged under article 398 of Civil Code of Georgia.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

11. Dispute Settlement
11.1. The Purchaser and the Provider shall make all efforts to settle all disagrements and disputes arising while execution of the contract through amicable negotiations.
11.2. In case the Purchaser and the Provider can not reach an agreement concerning the dispute within 20 (twenty) days since the commencement of such negotiations, any party shall be entitiled to apply to relevant court of Georgia under the defined rule.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ოცი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. Hindrance in Execution of the Contract
12.1. In case the parties encounter some obstacles while execution of the contract that impede fulfillment of the terms of the contract, such party shall send immediately written notification on the fact of hindrance, its probable duration and reasons to other party. The party receiving notification shall notify of its decision related to existing circumstances to other party within twenty days. If due to hindrance of the terms of the contract the parties reach an agreement on extension of date for execution of the contract, such decision shall be signed under amendment to be made into the contract.

13. ხელშეკრულების შესრულების გარანტია
13.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ამ ხელშეკრულებაში გამოიყენება საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით, რომელიც ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე.
13.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.
13.3. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნებს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.
13.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი არ

13. Guarantee for Execution of the Contract
13.1. In order to avoid the risk caused due to non-execution of the contract on state procurement from the side of the Provider, banking guarantee in the amount of 2% of the Contract Value shall be applied in this contract that is to be effective before expiry of the term of validity of the contract.
13.2. After complete fulfillment of the obligations assumed by the Contract from the side of the Provider, the Purchaser shall return the Provider guarantee for execution of the contract.
13.3. In case of termination of the contract due to the reasons independent from the Provider, the Purchaser shall return guarantee for execution of the contract to the Provider under its request.
13.4. In case of incomplete and improper fulfillment of the obligations undertaken by the contract, the Purchaser shall not return the Provider guarantee for execution of the contract and act within the framework of the legislation of Georgia.

დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას და იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის და მოცულობის კონტროლი.

14.2. ხელშეკრულების შესრულების შუალედურ და საბოლოო კონტროლს განახორციელებენ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი ან სხვა საამისოდ უფლებამოსილი პირი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (18 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება `მიმწოდებელთან~, ხოლო ორი _ `შემსყიდველთან~.

„შემსყიდველი“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამ. N144
საიდენტიფიკაციო კოდი: №211333957
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22 (220101222)
ა/ა 200122900

დავით ლომიძე
მინისტრის მოადგილე

„მიმწოდებელი“

„Emory University“
ატლანტა GA30324
1599-001-1BA
1599 Clifton Road NE, 4th Floor
საიდენტიფიკაციო კოდი: №58-0566256
ბანკის კოდი: PNBPUS33
Wells Fargo Bank
ა/ა 2000028949840

ნიკი სიმონსი
ასოცირებული დირექტორი

9/19/2012

Nikki C. Simmons, MPA
Assistant Director
Office of Sponsored Programs

ვიზა: გ. ხაბაშვილი
რ. რუხაძე
ზ. დარჩია
შ. ბაღაშვილი
ი. ქიტიაშვილი
ა. თორია

14. Control over Execution of the Contract

14.1. The Purchaser shall be entitled to carry out control over quality and volume of the service rendered.

14.2. Interim and final control on execution of the contract shall be carried out by coordinators or other authorized person.

15. Term of Validity of the Contract

15.1. The contract shall come into effect after its signature by the parties.

15.2. The term of validity for the contract shall be including 31 December 2013.

16. Miscellaneous

16.1. The contract is made into 3 copies (18 pages) and each of them has equal validity.

16.2. One copy is maintained with the Provider and two-the Purchaser.

“Purchaser”

Ministry of Healt, Labour and Social Affairs of Georgia
#144 Tsereteli Avenue, Tbilisi, 0119
Identification code: №211333957
State Treasury
Bank Code: TRESGE22 (220101222)
Settlement account: 200122900

Devid Lomidze
Deputy of Minister

“Provider”

„Emory University“
Atlanta GA30324
1599-001-1BA
1599 Clifton Road NE, 4th Floor
Identification code: №58-0566256
Bank Code: PNBPUS33
Wells Fargo Bank
Settlement account: 2000028949840

Nikki Simmons
Associate Director

9/19/2012

Nikki C. Simmons, MPA
Assistant Director
Office of Sponsored Programs

Emory University
Office of Sponsored Programs
1599 Clifton Road, 4th Floor
Mailstop: 1599-001-1BA
Atlanta, GA 30322

ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა, ატლანტა, აშშ

საქართველოს ეროვნული სამედიცინო ტრენინგ–ცენტრისათვის

ადამიანური რესურსის მომზადება

ელექტრონული ტენდერის

ტექნიკური წინადადება

მომსახურების პერიოდი:
სექტემბერი,2012 – 20 დეკემბერი,2013

თბილისი **2012** წელი

1. ტექნიკური წინადადება

1.1. მიზანი:

საქართველოს ეროვნული სამედიცინო ტრენინგ ცენტრის განვითარებისა და კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრებით საქართველოს ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფისათვის ადამიანური რესურსის მომზადება, კერძოდ:

1.2. ამოცანები

აღნიშნული წინადადების ფარგლებში ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა
უზრუნველყოფს სხვადასხვა სპეციალობებში ადგილობრივ „ტრენერთა“ გუნდის მომზადებას (რომელიც შემდგომში თვითონ განახორციელებს სწავლებას) და ამრიკელ კოლეგებთან ერთად ახალი სამედიცინო სიმულაციური სასწავლო პროგრამის შემუშავება/მოწოდებას, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება:

საბაზისო, კლინიკური, ქცევითი უნარ-ჩვევები, სამედიცინო ეთიკისა და ამ ცოდნის პაციენტის მკურნალობის პროცესში გამოყენება;
პაციენტის მკურნალობასა და მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების ეფექტური გადაწყვეტა;
შესაბამისი სპეციალობით გათვალისწინებულ დაავადებათა მართვა;
კოლეგებთან, პაციენტებთან, მათი ოჯახის წევრებთან, ჯანდაცვის სხვა სპეციალისტებთან და საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;
სასწავლო პროცესში კოლეგებთან და ჯანდაცვის სხვა სპეციალისტებთან ურთიერთობა, გუნდური მუშაობა;
პაციენტის ინტერესებისა და საკუთარი პოზიციების დაცვა;
მუშაობის პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტა.

აღნიშნული პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია 3000 ჯანდაცვის პერსონალის (ექიმი/ექთანის) გადამზადება.

„ტრენერებისა“ და ჯანდაცვის პერსონალის მომზადება უზრუნველყოფილი იქნება შემდეგ დარგებში:

შინაგანი მედიცინა;
პედიატრია;
ნეონატოლოგია;
მეანობა/გინეკოლოგია;
ანესთეზიოლოგია/რეანიმატოლოგია;

გადაუდებელი მედიცინა;
ტრავმატოლოგია / ორთოპედია;
სამედიცინო რადიოლოგია;
ქირურგია;
საექთნო საქმე.

სასწავლო პროგრამები მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

ზოგადი მიმართულებები:
ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (ინტერპერსონალური უნარები)
ინფექციათა კონტროლი
მტკიცებებულებაზე დაფუძნებული მედიცინის დამკვიდრება ყოველდღიურ პრაქტიკაში
ჯგუფური მუშაობა/კრიზისული რესურსების (Crisis Resources) მართვა
კატასტროფებისა და მასიური უბედური შემთხვევების მსხვერპლთა მართვა
პრე-ჰოსპიტალური მოვლა/მართვა
ძალადობა სქესობრივი პარტნიორების მიერ
ბავშვთა და მოზრდილთა ჩივილების თავისებურებები
ინფორმირებული თანხმობა
ელექტრონული საინფორმაციო სისტემის გამოყენება ყოველდღიურ პრაქტიკაში
ტრანსპორტირება და რეფერალი
სხვა...

სამედიცინო გადაწყვეტილებების მიღების უნარები:
გულ-სისხლძარღვთასისტემის გადაუდებელი მდგომარეობები
პულმონარული გადაუდებელი მდგომარეობები
კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გადაუდებელი მდგომარეობები
შარდ-სასქესო სისტემის გადაუდებელი მდგომარეობები
ტრავმები
ტოქსიკოლოგია და ბიოლოგიური აგენტებით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობები
სამეანო გადაუდებელი მდგომარეობები
ნევროლოგიური გადაუდებელი მდგომარეობები
ენდოკრინული გადაუდებელი მდგომარეობები
ინფექციური გადაუდებელი მდგომარეობები
გერიატრიული მკურნალობა
ოფთალმოლოგიური გადაუდებელი მდგომარეობები
ოტორინოლარინგოლოგიური გადაუდებელი მდგომარეობები
პედიატრიული გადაუდებელი მდგომარეობები
სხვა...

რეანიმაციულ უნარ-ჩვევები:

- ძირითადი (Basic) სასიცოცხლო ფუნქციების უზრუნველყოფა
- წამყვანი (Advanced) კარდიალური სასიცოცხლო ფუნქციების უზრუნველყოფა
- წამყვანი ტრავმული სასიცოცხლო ფუნქციების უზრუნველყოფა
- წამყვანი სასიცოცხლო ფუნქციების უზრუნველყოფა პედიატრიაში
- წამყვანი სასიცოცხლო ფუნქციების უზრუნველყოფა ნეონატოლოგიაში
- სხვა...

კლინიკური უნარები (დიაგნოსტიკური და თერაპიული):

- ფიზიკური გასინჯვის უნარები
- სასუნთქი გზების გამავლობის მართვა (ძირითადი და წამყვანი)
- სედაცია (მოზრდილებსა და ბავშვებში)
- ძირითადი ქირურგიული უნარები
- ფილტვის ხელოვნური ვენტილაციის მართვა
- გავრცელებული დაავადებებისა და მათი გართულებების მართვა ინტენსიური თერაპიის ბლოკში
- სხვა...

სამედიცინო პროცედურები:

- ლუმბალური პუნქცია
- თორაკოცენტეზი
- პარაცენტეზი
- ცენტრალური ვენური მიდგომა
- ცენტრალური ვენური წნევის მართვა
- პერიკარდიოცენტეზი
- თორაკოტომია
- პლევრალური დრენაჟი
- სხვა...

დიაგნოსტიკური კვლევების ინტერპრეტაცია:

- ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაცია
- რადიოგრაფიის ინტერპრეტაცია
- სხვა...

პალიატიური მკურნალობის პრინციპები

ტკივილის მართვა

წამყვან საკომუნიკაციო უნარები:

- ცუდი სიახლის შეტყობინება

პაციენტებთან/მათი ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უნარი
კონფლიქტური სიტუაციების მართვა
სხვა...

სპეციალისტის უნარები:

გუნდური პრინციპით მუშაობის უნარები კონკრეტული სპეციალობებისათვის
ფოკუსირებული ულტრასონოგრაფია
ქირურგიული უნარები მეან-გინეკოლოგებისათვის (მ.შ. ლაპარასკოპია)
ქირურგიული უნარები ქირურგიული პროფილის სპეციალისტებისათვის(მ.შ. ლაპარასკოპია)
სხვა...

სასწავლო პროცესი მთლიანად წარიმართება ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სიმულაციის ცენტრის კურიკულუმის მიხედვით, რომელიც სრულად ეფუძნება მედიცინის თანამედროვე მიდგომებს, ამერიკის დარგობრივი სამედიცინო და საექთნო ასოციაციების სასწავლო პროგრამებს, გაიდლაინებსა და პროტოკოლებს და მოიცავდეს როგორც თეორიულ ნაწილს, ასევე, შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლებას (ინტუბაცია, დეფიბრილაცია, გულ-ფილტვის რეანიმაცია და ა.შ.).

სწავლების პროცესში გამოყენებული უნდა იქნას სიტუაციური ამოცანები/სცენარები და მოხდება კრიტიკული სამედიცინო სიტუაციების და მასობრივი კატასტროფების იმიტაცია, რაც მსმენელებს საშუალებას მისცემს გამოიყენონ/განამტკიცონ მიღებული ცოდნა რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში.

2. ტრენერთა შერჩევა

ადგილობრივი ტრენერების შერჩევა მოხდება სპეციალურად შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე, რომელიც მოიცავს როგორც პროფესიულ და შესაბამისი სამედიცინო მიმართულებებში სტუდენტებისა და პოსტ დიპლომური სწავლების გამოცდილებას, ასევე ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნას.
მოხდება კანდიდატების პირველადი შერჩევა პროფესიურლი ბიოგრაფიების საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება მათთან გასაუბრება და რიგ შემთვევებში ტესტირებაც. თითოეული მიმართულებისათვის შეირჩევა სულ ცოტა 15 სპეციალისტი, რომლებიც ჩაერთვებიან ტრენერთა მომზადების პროგრამაში. მხოლოდ აღნიშნული პროგრამის გავლის შემდეგ ემორის სპეციალისტი სიმულაციის ცენტრის ადმინისტრაციასთან ერთად მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული 15 სპეციალისტიდან რომელი 2-4 იქნება რეალურად აღნიშნული მიმართულების ტრენერი, სხვები კი მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს და იქნებიან სათადარიგო ტრენერები, რომლებიც ასევე იქნებიან მოწვეული ტრენერებად საჭიროების შემთხვევაში.

3. ტრენერთა მომზადება

ტრენერთა (რომლებიც შერჩეული იქნებიან ემორის უნივერსიტეტისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ერთობლივად წინასწარ მომზადებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად) საბაზისო მომზადებას დაეთმობა პროექტის პირველი 6 თვე, რომლის განმავლობაშიც ემორის უნივერსიტეტის წამყვანი პედაგოგები ჩამოვლენ თბილისში და ადგილზე მოამზადებენ ტრენერებს შესაბამისი დარგების და პროგრამების მიხედვით.
სულ განხორციელდება 10 ორ კვირიანი ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდება შესაბამისი სასწავლო პროგრამა/ები.

ტრენერთა მომზადების კურსები საშუალოდ იქნება 8 საათი დღეში, 6 დღე კვირაში, სულ 12 სასწავლო დღე (ცალკეული კურსი სირთულის მიხედვით შეიძლება გაგრძელდეს 14 დღე). შერჩეული 10 ძირითადი მიმართულების შესაბსმისად, პროექტის მიმდინარეობის პირველი 6 თვის მანძილზე ჩატარდება ტრენერთა მომზადების 10 კურსი, თვეში საშუალოდ 2 კურსი.

სასწავლო გეგმის შესაბამისად მომზადებულ „ტრენერებზე“ გაიცემა შესაბამისი განათლების დამადასტურებელი სერთიფიკატი/დიპლომი, რაც მათ მისცემს შემდგომში ანალოგიური სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად განხორციელების უფლებას.

შემდგომში ემორის უნივერსიტეტის სპეციალისტების ადგილობრივ ტრენერებზე ზედამხედველობა გაგრძელდება ონლაინ დისტანციური სასწავლო და საკონსულტაციო სესიებისა და ასევე პროექტის პირველი წლის განმვალობაში კვარტალში ერთხელ ემორის სპეციალისტის თბილისში ვიზიტების ფარგლებში.

ტრენერთა ნაწილი იქნება სრულ განაკვეთზე (მათ შორის სამედიცინო სიმულაციების ტრენერები), ხოლო ნაწილი მიიღებს ანაზღაურებას დატვირთვიდან გამომდინარე (როცა განხორციელდება შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლება).

4. სასწავლო პროგრამების შემუშავება/თარგმნა/ადაპტირება

შერჩეული ტრენერები, ემორის უნივერსიტეტის პედაგოგების მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე მოამზადებენ შესაბამის სასწავლო პროგრამებს ქართულ ენაზე. პროგრამებში გათვალისწინებული იქნება როგორც თეორიული სწავლება, ისე სამედიცინო სიმულაციები და სცენარები მანიკენებსა და მულაჟებზე, და სიტუაციური ამოცანები. თითოეული კურსისთვის მომზადდება სასწავლო განრიგი როგორც სრული დღის სასწავლო დატვირთვის, ისე ნახევარი დღის სასწავლო დატვირთვების

გათვალისწინებით, რათა დასაქმებულ მედიცინის მუშაკებს ჰქონდეთ არჩევანის შესაძლებლობა. გაწერილი იქნება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების საათები.

ასევე, შემუშავებული იქნება როგორც ტრენერების, ისე მსმენელთა შეფასების მეთოდოლოგია და ფორმები.

5. ჯანდაცვის მუშაკთა გადამზადება

სასწავლო კურსებში მონაწილე ჯანდაცვის მუშაკთა (ექიმები/ექთნები) დაკომპლექტება მოხდება საქართველოს ჯანდაცვის სისტემის პერსონალით, მ.შ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან, მათი სურვილისა და შესაბამისი დაწესებულებების მხრიდან წარდგინების შესაბამისად.

ჯგუფებში მსმენელბის რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო პროგრამიდან გამომდინარე მაქსიმუმ 20 მსმენელზე გათვლით. პრაქტიკული სწავლებისათვის გათვალისწინებული იქნება მსმენელების დაყოფა მცირე ჯგუფებად (4-5 მსმენელი.

სულ 12 თვის მანძილზე (ტრენერთა მომზადების 6 თვიანი პროგრამის შემდეგ) ჩატარდება არანაკლებ 15 სასწავლო კურსისა და მომზადდება სულ ცოტა 3000 ჯანდაცვის მუშაკი (იხილეთ დანართი 1).

ტრენერთა მომზადების გრაფიკში პირველ სამ თვეში დასრულებული დარგობრივი პროგრამით მსმენელთა სწავლება დაიწყება უფრო ადრეც, მათ შორის ექთნების მომზადებაც, რად□ან, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში 2009-2012 წლებში ემორის უნივერსიტეტისა და პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის მიერ მომზადებულია ექთნების გადამზადების პროგრამების სრული სპექტრი, შესაბამისი სასწავლო მასალები და მომზადებულია ექთანი-ტრენერები, რომელთაც გასული 2.5 წლის მანძილზე უკვე მოამზადეს 2600 ექთანზე მეტი.
სავარაუდოდ, აღნიშნული წინადადების ფარგლებში მომზადდება 1500 ექიმი და 1500 ექთანი.

სიმულაციის ცენტრის განვითარების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული კურსები მსმენელებისთვის იქნება ფასიანი და სწავლის ღირებულება განისაზღვრება ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

6. მონიტორინგი და შეფასება

სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება როგორც ადგილობრივი კადრების (ექიმთა და ექთნების სწავლების კოორდინატორების), ისე ემორის უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგების მიერ სასწავლო სესიებზე დასწრების, ტრენინგის დოკუმენტაციის რევიზიის, მსმენელთა აკადემური მოსწრებისა და მათ მიერ პედაგოგების შეფასების ფორმების ანალიზის საფუძველზე.

ტრენერთა შეფასება მოხდება ყოველკვალტარულად.

პროგრამის შეფასების შესაძლებლობას მოგვცემს ასევე მსმენელთა ელექტრონული ბაზაც, სადაც შეტანილი იქნება როგორც მათი დემოგრაფიული, ისე პროფესიული ინფორმაცია და კურსის გავლის დროს მიღებული შეფასებები.

ხელის მოწერა და ბეჭედი _____

Nikki C. Simmons, MPA
Assistant Director
Office of Sponsored Programs

ნიკი სიმონსი

ასოცირებული დირექტორი
გრანტების ადმინისტრირების ოფისი
(მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

MICHAEL THOMAS ROE
NOTARY PUBLIC
DEKALB COUNTY
STATE OF GEORGIA
My Comm. Expires Jan. 20, 2014

Michael Thomas Roe
6/24/12

სამედიცინო სიმუღაციის ცენტრის განვითარების განრიგი

წელი 1 (2012 წლის სექტემბერი – წელი 2 (2013 წლის იანვარი – 2013 წლის 2012 წლის დეკემბერი) დეკემბერი)



ემორის უნივერსიტეტი მზად არის შემსყიდველს მომსახურება გაუწიოს სატენდერო პირობების პუნქტ 3.5-ში განსაზღვრული პირობების შესაბამისად. კერძოდ, უნაღდო ანგარიშსწორების გზით ლარებში, კვარტალურად გაწეული მომსახურების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის, ხარჯთაღრიცხვისა და მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში.

ხელის მოწერა და ბეჭედი

Nikki C. Simmons, MPA
Assistant Director
Office of Sponsored Programs

ნიკი სიმონსი

ასოცირებული დირექტორი
გრანტების ადმინისტრირების ოფისი
(მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

MICHAEL THOMAS ROE
NOTARY PUBLIC
DEKALB COUNTY
STATE OF GEORGIA
My Comm. Expires Jan. 20, 2014

Michael Thomas Roe
6/24/12

დანართი 3

მედიცინის მუშაკების გადამზადების პროგრამების განრიგი

2012 წლის 1 სექტემბერი – 2013 წლის 20 დეკემბერი

I II III IV I II III IV V VI VII VIII IX X XI XII *შენიშვნა*



ექთნების გადამზადება	*ჯგუფში მსმენელთა სამუშაო რაოდენობა 20*	*კურსები თვეში*	*მსმენელთა რაოდენობა*
გადაუდებელი მედიცინა	2-4 *კვირიანი კურსი*	1	240
კრიტიკული მედიცინა	2-4 *კვირიანი კურსი*	1	220
ანესთეზიოლოგია	2-4 *კვირიანი კურსი*	1	220
ნეონატოლოგია	2-4 *კვირიანი კურსი*	2	200
მეანობა/გინეკოლოგია	2-4 *კვირიანი კურსი*	2	140
პედიატრია	2-4 *კვირიანი კურსი*	1	220
ზოგადი ქირურგია	2-4 *კვირიანი კურსი*	1	260
შინაგანი მედიცინა	2-4 *კვირიანი კურსი*	1	200
ტრაუმატოლოგია/ ორთოპედია	2-4 *კვირიანი კურსი*	1	112
სამედიცინო რადიოლოგია	2-4 *კვირიანი კურსი*	1	96
სულ			1908

ექთნების გადამზადება			
ზოგადი საექთნო კურსი	*თვეში სამუშაოდ მომზადება 64 ექთანი*	3	896
სპეციალიზაციის კურსები	16 *ექთანი ჯგუფში*	1	208
სულ			1104
ექიმი/ექთანი სულ			3012

ხელის მოწერა და ბეჭედი

Nikki L. Simmons, MPA
Assistant Director
Office of Sponsored Programs

ნიკი სიმონსი

ასოცირებული დირექტორი
გრანტების ადმინისტრირების ოფისი
(მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

განმახორციელებელი: ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა, ატლანტა, ჯორჯია, აშშ
პროგრამა: საქართველოს ეროვნული სამედიცინო რენინგ-ცენტრისათვის ადამიანური რესურსის მომზადება

ბიუჯეტი

#	დასახელება	სპეციფიკაცია	1-ლი წელი დეკემბერი 2012 წელი				სექტემბერი-	2-ე წელი იანვარი-დეკემბერი 2013 წელი							
			ერთეული	ერთეულის ღირებულება	სექტემბერი-ნოემბერი	დეკემბერი	სულ	ერთეული	ერთეულის ღირებულება	იანვარი-მარტი	აპრილი-ივნისი	ივლისი-სექტემბერი	ოქტომბერი-დეკემბერი	სულ	
პერსონალი		მოვალეობა	თვე	ლარი	1 კვარტ	2 კვარტ	ლარი	თვე	ლარი	1 კვარტ	2-ე კვარტ	3-ე კვარტ	4-ე კვარტ	ლარი	ჯამი
1	ჰენრი კენეთ ვოლკერი	პროექტის ხელმძღვანელი	4	4,054.40	12,163.21	4,054.40	**16,217.62**	12	4,054.40	12,163.21	12,163.21	12,163.21	12,163.21	**48,652.85**	**64,870**
2	დუგლას ანდერი	პროექტის ხელმძღვანელი	4	7,103.98	21,311.95	7,103.98	**28,415.93**	12	7,103.98	21,311.95	21,311.95	21,311.95	21,311.95	**85,247.80**	**113,664**
3	არჩილ უნდილაშვილი	პროექტის ხელმძღვანელი	4	12,997.50	38,992.50	12,997.50	**51,990.00**	12	12,997.50	38,992.50	38,992.50	38,992.50	38,992.50	**155,970.00**	**207,960**
4	დამატებითი კონსულტანტები იხ. დანართი		4	4,751.24	14,253.72	4,751.24	**19,004.96**	12	4,751.24	14,253.72	14,253.72	14,253.72	14,253.72	**57,014.88**	**76,020**

მგზავრობა		ვიზიტი	ლარი	1 კვარტ	2 კვარტ	სულ ვიზიტი/ლარი	ვიზიტი	ლარი	1 კვარტ	2-ე კვარტ	3-ე კვარტ	4-ე კვარტ	სულ ვიზიტი/ლარი	ჯამი
1	ემორის უნივერსიტეტიდან პროფესიონალთა ვიზიტი საქართველოში	ვიზიტი	-	7	3	10	-	-	4	4	4	4	16	26
		ღირებულება	6,301.10	44,107.70	18,903.30	**63,011.00**	-	6,301.00	25,204.00	25,204.00	25,204.00	25,204.00	**100,816.00**	**163,827**

საქთინო განათლება		თვე	ლარი	1 კვარტ	2 კვარტ	ლარი	თვე	ლარი	1 კვარტ	2-ე კვარტ	3-ე კვარტ	4-ე კვარტ	ლარი	ჯამი
1	საქთინო კურსის მომზადება და ექთნების გადამზადება	4	10,456.88	31,370.64	10,456.88	**41,827.52**	12	10,456.88	31,370.64	31,370.64	31,370.64	31,370.64	**125,482.56**	**167,310.08**

გაუთვალისწინებელი და ადმინისტრაციული ხარჯები	თვე	ლარი	1 კვარტ	2 კვარტ	ლარი	თვე	ლარი	1 კვარტ	2-ე კვარტ	3-ე კვარტ	4-ე კვარტ	ლარი	ჯამი
	4	12,896.83	38,690.49	12,896.83	**51,587.32**	12	12,896.83	38,690.49	38,690 49	38,690.49	38,690.49	**154,761.96**	**206,349**
				სულ ჯამი:	**272,054.35**							**727,946.04**	**1,000,000**